



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/545

04 / მაისი / 2019 წ.



KA000089351045619

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის N6/12 დადგენილებით დამტკიცებული, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას ახდენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება შეიძლება მიენიჭოს როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სრულწლოვან მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა, სოციალური კუთვნილებისა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებისა, თუ მისი მოღვაწეობა და გაცხადებული იდეები მიმართული არ არის საქართველოში დამკვიდრებული კულტურული ტრადიციების, ზნეობრივი, ეთიკური ნორმებისა და სულიერი ცხოვრების წინააღმდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მუხლი 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭოს შვედეთის სამეფოს ქალაქ ოსტამარის მერს იაკობ სპანგენბერგს, სოციალური პროექტების განხორციელების, ხანდაზმულებისა და შშმ ბავშვებისათვის მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისათვის.


მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის N6/12 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირზე გაიცეს ფასიანი საჩუქარი.

მუხლი 3. დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს, ბრძანების პირველ და მეორე პუნქტებში მითითებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით განახორციელონ შესაბამისი მოქმედებები, კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეზე გაიცეს შესაბამისი მონმობა.

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრონულად 

გონა კურდღელია